ს ს ი პ

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

SSVA 00026872

25/08/2025

აკრედიტებულ ბაკალავრიატის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაფინანსების მიღების მიზნით ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ განცხადების წარმოდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის №342 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დებულების" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა", ,,ი" და ,,რ" ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში მოქმედი სოციალური პროგრამის ფარგლებში აკრედიტებულ ბაკალავრიატის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების 2025-2026 წლების შემოდგომის სემესტრის საფასურის დაფინანსების მიღების მიზნით ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2025 წლის 25 აგვისტოდან 2025 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი.

2. წარმოდგენილ განცხადებაზე ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია დადგენილი ხარვეზი გამოასწოროს ხარვეზის დადგენის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

3. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ელექტრონულ რესურსებზე.

4. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი
გენერალ-მაიორი



კობა კობალაძე

ს ს ი პ

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

SSVA 00003422

05/02/2026

,,აკრედიტებულ ბაკალავრიატის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაფინანსების მიღების მიზნით ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ განცხადების წარმოდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ" სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს №SSVA 00026872 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ,,აკრედიტებულ ბაკალავრიატის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაფინანსების მიღების მიზნით ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ განცხადების წარმოდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ" სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს №SSVA 00026872 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში მოქმედი სოციალური პროგრამის ფარგლებში აკრედიტებულ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025-2026 წლების შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურის დაფინანსების მიღების მიზნით ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2025 წლის 25 აგვისტოდან 2025 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი.".

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი
გენერალ-მაიორი



კობა კობალაძე